– ძალიან კარგი შედეგები გაქვს. მოდი ახლა პეტრეს ქალაქში გამართული ასპარეზობის შესახებ გვიამბო. რა ჩემპიონატი იყო ეს, რომელი ქვეყნის მოჭიდავეები მონაწილეობდნენ მასში, რამდენი შეხვედრის გამართვა მოგიწია მტოქეებთან და რა შედეგებით დასრულდა ისინი?

– სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო ტურნირზე საკმაოდ ბევრი ქვეყნის ძიუდოსტები იღებდნენ მონაწილეობას. აქ ჩამოსული იყვნენ ნიდერლანდების, საქართველოსა და სხვა ქვეყნების მოჭიდავეები. რაც შემეხება პირადად მე, გამოვიყოფი 52 კგ წონით კატეგორიაში და მომიხდა სამი შეხვედრის გამართვა, სადაც ჩემი მოწინააღმდეგეები იყვნენ რუსები და შედეგით ორი გოგონას „იპონით“ დამარცხებულა, ერთს კი „შიდოთი“ მოვუგე. ამავ ჩემპიონატზე ჩემპიონის ტიტული კიდევ ერთმა საგარეჯოელმა – დავით კვეციანმა მოიპოვა.

– ამა წლის მარტის დასაწყისში შენ გახდი ანტალიის ევროპის თასის გათამაშების ვიცე-ჩემპიონი. სანკტ-პეტერბურგის ტურნირზე ხომ არ მოგიწია იქ გამარჯვებულ მტოქესთან შეხვედრა და რეზულტის აღება?

– არა, ანტალიაში გამართულ შეხვედრაში გამარჯვება საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონმა მოიპოვა. სანკტ-პეტერბურგში კი, როგორც აღვნიშნე, სამივე შეხვედრა რუსეთის წარმომადგენლებთან მქონდა.

– ნინო, ამ წელს შენს მიერ მოპოვებული წარმატებების შედეგად შენ შეყვანილი ხარ აიპ „საგარეჯოს სპორტ-გაერთიანების“ 2019 წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულში. ეს და წინა წლებში შენს მიერ მოპოვებული წარმატებები იმის საწინდარია, რომ თუ მომავალშიც ასე გააგრძელებ ჭიდაობას, შენგან უფრო მეტ მიღწევებს უნდა ველოდოთ სპორტში. ვინ არის შენი მისაბამი ფალაგანი ძიუდოში?

– ასეთი მოჭიდავე ჩემთვის ღიპარტელიანია.

– ჭიდაობის გარდა, რა პროფესიის არჩევა გინდა მომავალში?

– არჩევანი მედიკოსობაზე მაქვს შეჩერებული და ამ სურვილს აუცილებლად ავისრულებ.

– წლის ბოლომდე კიდევ ხომ არ მოგიწევს რომელიმე შეჯიბრებაში მონაწილეობა და როგორია შენი სამომავლო გეგმები?

– ამ წელში შეჯიბრებები აღარ მაქვს და მომავალი წლისთვის ვემზადები.

– „გარეჯის მაცნეს“ სახელით გილოცავ წარმატებებს და გისურვებ მომავალში უფრო მეტისთვის მიგდწიოს.

ესაუბრა ბიძი ლაბახიშვილი

ბ. ლაბახიშვილი

## ბამოსათხოვარი ნანა კუჭუაშვილი

ანელია სიტყვებით ვადმოსკვიმ ადამიანთან განშორების ტკივილი, რომელიც გაუსაძლისი, მტკივნეული ხდება დღით დღე. დღის, გაუსაძლისი, ადგან საგარეჯოს დააკლდა ქალი, რომელიც თავისი ადამიანობით, ბუნებისგან მომადლებული სილამაზითა და ნიჭით ამშვენებდა, აღამაზებდა საგარეჯოს, საქართველოს პედაგოგთა მრავალრიცხოვან საზოგადოებას. ქალბატონი ნანა ის პიროვნება იყო, რომელზედაც ბევრი საინტერესო, თბილი მოგონება შეიძლება დაიწეროს, ვი, რომ მოგონება...



საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლა 60-იან წლებში ამჟამად მისი მოსწავლეობით – ყველასგან გამორჩეული აკადემიური მოსწრებითა თუ სკოლისგარეშე მუშაობის ხაზით აქტიური საქმიანობით. იყო წარჩინებული სტუდენტი... საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულს ნათელ წერტილებად ახსოვთ მის მიერ მოწოდებული ახალგაზრდული ღონისძიებები... შემდეგ კი იყო საგარეჯოს №5 საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის პოსტი. სწორედ მისი ხელმძღვანელობის წლებში, ე.წ. კომუნისტების პერიოდში – საბავშვო ბაღი არაერთხელ დაჯილდოვდა საკავშირო მნიშვნელობის გარდამავალი წითელი დროშით – საბავშვო ბაღი სახეობისთვის...

ჩვენთვის, საგარეჯოს №5 საბავშვო ბაღის თანამშრომლებისათვის მისაბამი იყო როგორც ხელმძღვანელი, აღმზრდელი, კოლეგა, მეუღლე, დედა, ბებია. დღეს ჩვენც ცრემლი გვაქვს გამშრალი, არ ვიცით, როგორ ვანუგეშოთ მეუღლე, რომელთანაც ბავშვობისდროინდელი სიყვარული აკავშირებდა, ჩვენი ქვეყნისათვის საამაყო მისი შედეგები იაკო, ვია, დათუნა, შვილიშვილები...


ერთი ის ვიცით, რომ იქვეყნიური სამყაროდან ისევ თავად დაგვამშვიდებს, დაგვაწყნარებს და გვეტყვის: „ნუ ტირი, კალთას ნუ მისველებ... არ გინდა სხვებიც არ ბატრო. დღეს მხოლოდ ხან-თლები დამითე, სინათლეს უფავარ, სავალი ლოცვებით გამითე, „ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ...“

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სუტეაკი სული.  
საბარძქოს №5 სკოლაგამაღლი აღზრდის  
დაწესებულება

## იოსებ ბიორბის კე მიტცხულავას (სამამულო ომის 1941-1945 წწ ვეტერანი)

### ბახსენება

ცხრამეტი ოქტომბერი მძიმე დღეა ჩემს ცხოვრებაში. ამ დღიდან ხომ დიდმა სევდამ და მწუხარებამ დაისადგურა ჩვენს სახლში. დრო ცუდი მკურნალი ყოფილა, ვერ შევეჩვიე უშენობას. მიუხედავად ხანდაზმული ასაკისა, სრულიად ჯანმრთელი და ენერგიული, მოულოდნელად წახვედი ამ ქვეყნიდან ზეციურ სამყაროში. ნათელში ამყოფოს შენი სული ღმერთმა, უფალმა დაგიმკვიდროს სასუფევლოში.



შენი შვილი ნათელა მიტცხულავა

### ბიულეტი

## ბურჯაანის საერთაშორისო ტურნირზე

დეკემბრის I ნახევარში გურჯაანში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი 2006-2007-2008 წლებში დაბადებულ ძიუდოსტებს შორის, რომელშიც თავიანთ ძალებს აიპ „საგარეჯოს სპორტ-გაერთიანების“ ამ წლებში დაბადებული აღსაზრდელებიც სცდიდნენ. გარეჯელი ძიუდოსტები-

დან ტურნირის ჩემპიონები გახდნენ თამაზ მეკოკიშვილი (60კგ) და გიგი ესაიაშვილი (მძიმე წონა). მეორე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ საბა ოდიკაძე (27კგ) და გიგა ილაური(30კგ).

ბ. ლაბახიშვილი

### თავისუფალი ჭიდაობა

## ზურაბ ერბოჭიანი – საქართველოს ჩემპიონი

ჩვენს სახელოვან ფალაგანს ზურაბ ერბოჭიანიშვილს და მის მიერ მიღწეულ წარმატებებს კარგად იცნობენ ჭიდაობის გარეჯელი და ქართველი გულშემატკივრები. თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი 23 წლამდელებში, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულ და პრიზიორი – ასეთია მოკლედ მისი წარმატებების „ჩამონათვალი“. ჩვენებურმა ფალაგანმა თავისი მორიგი წარმატება იხეიმა 9-10-11 დეკემბერს საქართველოს დედაქალაქში თავისუფალ ჭიდაობაში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე, სადაც ჩემპიონი გახდა 79 კგ წონით კატეგორიაში (დიდებში). ამავ ასპარეზობაში 81 კგ-ში III საპრიზო ადგილი დაიკავა ქვიშის ჭიდაობაში წლებანდელმა მსოფლიო და ოლიმპიურმა ჩემპიონმა დავით ხუციშვილმა. ამ და სხვა წარმატებებისათვის ზურაბ ერბოჭიანიშვილი დასახელდა 2019 წლის გარეჯელ სპორტსმენთა საუკეთესო ათეულში.

ბ. ლაბახიშვილი



# ჩვენი სახელოვანი ბიჭები ძიუდოსტი მზისგულიდან როცა მიზანდასახული ხარ...

## სპორტი

## ქალაქი

### „პერსელი“ –

# ქარსელაქის მემორიალიდან



თინათლო ზირაქაშვილი კახეთის ერთ პატარა, მაგრამ ძალიან, ძალიან ლამაზ სოფელში – მზისგულში დაიბადა. სოფელი მართლაც მზის გულზეა განთავსებული და ბაბო-ბებოებისა და ლამაზად, გულდაგულ მოვლით-გაზრდით ვენახებით, კოპიას, პატარა სახლებით თეთრად შეფერილი ლამაზი სასკოლო შენობითა და აქაური პაწიების მოლოდინში ჩაყურსული პაწია, თბილი საბავშვო ბაღით. თენგივ დაბადებამდე (2003წელი) სოფელს ბოგდანოვა ერქვა...

თენგივ ძიუდოსტი. ერთი შეხედვით სუსტი აგებულების ბიჭმა საკუთარი ძალები 7 ქვეყნის ტატამზე აჩვენა, ადარ ესაუბრობთ საგარეოებსა და საქართველოს სპორტულ დარბაზებზე... თენგივ სულ ახლახანს დაბრუნდა ისრაელიდან, სადაც გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ქალაქ ჰელსინკის თასზე. დღეს თენგივ ჩვენი გაზეთის ამ ნომრის სტუმარი და სინტერესო რესპოდენტია.

– თენგივ, გილოცავთ გამარჯვებას და წარმატებებს გისურვებთ. მოდი, გაცანი თავი ჩვენს მკითხველს.

– მაგალითი. თენგივ ზირაქაშვილი, ვსწავლობ სოფელ მზისგულის საჯარო სკოლის X კლასში. მეაქვს და –

თაკო, ამავე სკოლის მოსწავლე; დედა – ნანა კობახიანი – საგარეო მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოს საექიმო ამბულატორიის ოჯახის ქეიმი, საგარეო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ექიმი; მამა – დავითი – ფერმერი. სკოლაში სწავლის პარალელურად ვარ ძიუდოს კლუბ „საგარეო-2“-ის სპორტსმენი.

– როგორ დაიწყო შენი „სპორტული ბიოგრაფია“. ვინ იყო შენი პირველი მწვრთნელი, გაიხსენებ პირველი სპორტული დარბაზი, პირველი გამარჯვება...

2012 წელს 9 წლის ვიყავი, ჩვენს სოფელში არსებულ სპორტულ დარბაზში რომ მივედი. ეს იყო და დღესაც არის სოფლის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე, რომლის მეორე სართული წლებია ინგრევა. იქ შეუძლებელია იყოს სოფლის ადმინისტრაცია, საექიმო ამბულატორია და მით უმეტეს – სპორტული დარბაზი, მაგრამ მწვრთნელი, ჩვენი სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი ჩვენი მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოსო ჭიკაძე იმდენად იყო მოტივირებული და დღესაც ასეა, რომ საკუთარი ხელით გააკეთა იქ რემონტი, საკუთარი ხელით დაამზადა საგარეოში იარაღები და დაამონტაჟა. მინდა სიამაყით გითხრო, რომ აქ დღესაც დიდი მონღოლებით ვარჯიშობენ ჩვენი სოფლის ახალგაზრდები და დიდი წარმატებითაც გამოდიან სარაიონო და მხარის ტურნირებზე.

სოსო მასწავლებელთან I წელი ვივარჯიშე. ჩემს ვარჯიშს აქტიურად ადევნებდა თვალს ბიძაჩემი (დღეს მხრიდან) – ვია მისურაძე და როცა რაღაც სანტერესო „დაპირა“ ჩემში, საგარეოში გადმოვიყვანა სხოსო ჩემს მშობლებს და მწვრთნელ ვია ხოსიტაშვილს „ჩააბარა“ ჩემი თავი. მას შემდეგ ჩვენ ერთად მოვდივართ... თბილისში კი ამავე კლუბში ჩემი მწვრთნელი გურამ მოდებაძე.

რაც შეეხება ჩემს პირველ გამოსვლას „ტურნირზე“, ეს იყო პატარა ჩაილურში გამართული ტრადიციული სახალხო დღესასწაული – „ბერეკობა“, სადაც პირველად განვიცადე მღელვარება, როგორც მოქიდავემ... მას შემდეგ მე და ვია ხოსიტაშვილი ერთად ვხეიმობთ ჩემს გამარჯვებებს...

– გულშემატკივრები, ვინ არიან ისინი? კერძო საუბარში ბევრ საკითხს შეეხო ჩვენი საუბარი და მითხარი, კონკრეტულად, რა არის შენთვის საქართველო?

– ისინი ბევრნი არიან. როცა ტატამზე ვადვივარ, ვიცი, რომ ჩემს ზურგს უკან ჩემი საქართველო, ჩემი კახეთი, ჩემი პატარა სოფელი, დედა-მამა, ჩემი დაიკო, ვია მასწავლებელი, ვია მისურაძე და მათთან ერთად ჩემი ბიძები – მამის და დედის მხრიდან, მათი ოჯახები, ჩემი კლასელები, მეგობრები, ნაცნობები არიან. ამიტომ ვგრძნობ და ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ მე თითოეული მათგანის სახე ვარ. – ქართველი... ეს კი რასაც ნიშნავს, ყველამ კარგად იცის. იცით, რომ ქართველისათვის საქართველო უპირველესია. საზღვარგარეთ საქართველოს სახელით გამოვიდვი, საქართველოში კახეთის სახელით, კახეთში საგარეოს სახელით და ყოველთვის ვცდილობ არ შევარცხვინო ჩემი პატარა მშობლივი სოფლის სახელი...

– თენგივ, რომელ ქვეყნებში ხარ ნამყოფი (გულისხმობ ტურნირებს და რომელი ქვეყანა დაგამახსოვრდა ყველაზე კარგად)?

– ნამყოფი ვარ რუსეთში – მოსკოვსა და პეტერბურგში, დანიის, უნგრეთში, ჩეხეთში, თურქეთში, პოლონეთში, ბოლოს ისრაელში. ისრაელში ქალაქ ჰელსინკის თასზე იყო ეს ბოლო ტურნირი. ულამაზესი ზღვისპირა ქალაქია. იერუსალიმში გვინდოდა წასვლა, მაგრამ ჩვენი უსაფრთხოების მიზნით (მოგესხებათ იქ საომარი ვითარება), ვერ მოვახერხეთ მისი ნახვა. იცით, ყველაზე შთაბეჭდილებები ჩემთვის პეტერბურგის დეისისმშობლის სახელობის მართლმადიდებლური ტაძარი იყო, თავისი სილამაზით და მაღლით, თავისი დიდებულებით...

– მოძღვარი თუ გვაგონ?

– დიახ, ჩემი მოძღვარი ბადაიურის დეისისმშობლის სახელობის ტაძრის მოძღვარი მამა დავითია. ხშირად, კვირა დღეს წირვას ვესწრები, ვაბარებ აღსარებას და ვიღებ ზიარებას. ოთხშაბათს და პარასკევს ვმარხულობდი ხოლმე და მამა დავითმა მითხრა, – შენ სპორტს მისდევ, ისედაც რეჟიმით ცხოვრობ, ნუ იმარხულებ, მოხარდი ხარ, ახლა გჭირდება კარგად კვება. ჩემი კლასელი სტიქაროსანია იმავე ტაძარში და ერთად მივდივართ.

– თენგივ, ყველა სპორტსმენს შეჯიბრზე გასვლის წინ თავისი თილისმა აქვს, შენ რა გაქვს ასეთი?

– პირჯვარს ვიწერ, ყოველ შეჯიბრის წინ, ტატამზე გასვლამდე. მწამს და მჯერა – მშველის, მამშვიდებს, მაწინარებს და მაწინასწორებს, სწორი აზროვნების უნარს მინარჩუნებს მოწინააღმდეგესთან ორთაბრძოლისას.

– საქართველოს საზღვრებს გარეთ გასვლისას, უკვე უცხო ენა გჭირდება...

– რა თქმა უნდა. ტურნირის ორგანიზატორები, სპორტსმენები ხომ უცხოელები არიან. სულაც აეროპორტის თანამშრომლებთან ურთიერთობა ხომ ინგლისურ ენაზე გჭირდება. ხშირად „ცხრილში“ ვგატარებენ, თუ თურქეთის გავლით ვივლით სხვა ქვეყნებში გასვლა – ვგონივართ თურქებში, მაგრამ როცა ჩემს სამშობლოზე დავიწვევ საუბარს, უკვე მათთან პატივისცემა მოდის... ამასთან, ვერ გაიცნობ ახალ მეგობარს – სპორტსმენს. მე კარგად ვფლობ ინგლისურს. მაგალითად მინდა გავაფხურო ჩემს მშობლებს ამდენი ამავისათვის – ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ მე და ჩემს დას თაკოს – კარგი განათლება მოგვცენ.

– თენგივ, რა არის საჭირო, რომ შენმა თანატოლებმა წარმატებას მიაღწიონ, რა შიამა წარმატების საიდუმლოა?

– მე რასაც მივაღწიე, ეს ჩემი მშობლების ხელშეწყობით, ჩემი ბიძის – ვია მისურაძის დიდი ყურადღებით, ჩემი მასწავლებლის ვია ხოსიტაშვილის ძალისხმევითაა. მთავარია ადამიანმა დაისახოს მიზანი, იყოს მიზანდასახული, გაარკვიოს რა უნდა, რა შესაძლებლობები აქვს, თავისი თავი აკონტროლოს – გამოიყენოს თითოეული წუთი და დრო. მე არ ვგეგმავ დროს – ან ვარჯიშზე ვარ, ან ვსწავლობ, სხვანაირად შეუძლებელია – დღეს სულ სხვა გამოწვევები გვაქვს ახალგაზრდებს... გულახდილად გეტყვით, ხშირად უარი მითქვამს ვართობაზე, თუ ექსკურსია ან დაბადების დღე, ვცდილობ, კვირა იყოს და არა სკოლის ან ვარჯიშის დღე. მიზანდასახულობა, დროის სწორად განაწილება, კვება, რეჟიმით ცხოვრება, ეს არის გამარჯვების საწინდარი...

– მიზანი ნათელია...

– დიახ (იცინის), ოლიმპიური თამაშებისკენ ვხა რთულია, მაგრამ სინტერესო. მანამდე კი ვიცი, დიდი მუშაობა, ვარჯიშია საჭირო.

– წარმატებებს გისურვებთ. და ბოლოს ერთი შეკითხვა – თქვენი გვარიდან კიდევ ვინ არის, ვის წარმატებებსაც უურადღებთ ადევნებ თვალს?

– მაგალითი. ჩვენი სოფელი ამაყობს ჩემი მოგვარებით. ესენი არიან: დათო ზირაქაშვილი – მორაგბე, ირაკლი ზირაქაშვილი – მკლავჭიდელი, ვეროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, თორნიკე ზირაქაშვილი – ამერიკისა და საქართველოს ტურისმის სააგენტოს ერთ-ერთი წამყვანი ხელმძღვანელი.

მახთან ქარსელაქის სახელი ცნობილია ყველა ქართველი მოჭადრაკის, ამ ბრძნული თამაშის მოყვარული ადამიანისა და არა მარტო მათთვის – იგი XX საუკუნის საუკეთესო ქართველ მწვრთნელად აღიარეს და ახალახანს მისი 100 წლის იუბილეც აღნიშნეს. ამბობენ, მას ღვთისმშობლისგან ნიჭი ჰქონდა ტალანტების აღმოჩენისა და შემდგომ მათთვის ჭადრაკის შეყვარებისა. მისი აღმოჩენილი და აღზრდილები არიან ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია და რომ 30 წლის განმავლობაში ჭადრაკის დელოფის გვირგვინი საქართველოში იყო, სწორედ მისი დამსახურებაა.



სწორედ ამ ლეგენდარული მწვრთნელის მემორიალი იმართება ყოველწლიურად ივნისის თვეში თბილისის ჭადრაკის სახსლეში, მაგრამ წლებულს გრაფიკი დაირღვა – თბილისში იმ დროს დაწყებული გამოსვლების გამო ტურნირი გადაიდო და ამ დღეებში – 10-17 დეკემბერს ჩატარდა.

ინიც არ იცის, მათთვის განუმარტავ, რომ ტურნირი გუნდურია და რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფში მიმდინარეობს. გუნდის წევრები მხოლოდ ერთი მწვრთნელის აღზრდილი ბავშვებით უნდა იყოს დაკომპლექტებული – ანუ ეს ერთგვარად მწვრთნელთა შეჯიბრება და გამოცდაცაა.

„ხაფხულში“ დაგეგმილ ამ ტურნირზე საგარეოელები (გუნდი „გარეჯი“, მწვრთნელი და კაპიტანი ირაკლი ქვლივიძე) ორ ასაკში აპირებდნენ გამოსვლას – 7 და 8 წლის, მაგრამ ამაჯერად მხოლოდ 8 წლიანთა ტურნირში შეძლეს მონაწილეობა საგარეოში საკმაოდ გაერცხლებული „ჩუტყვაი-ლას“ გამო.

გუნდში წესით სამი ვაჟი და ერთი გოგონა თამაშობს. საგარეოელთა შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: საბრი ფართლი (I დაფა), შოი შოიშვილი (II დაფა), ნიკოლოზ ოხველდაშვილი (III დაფა) და მარიამ აგულაშვილი (გოგონების დაფა).

შემადგენლობის მიხედვით ჩვენი გუნდი ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გუნდის ლიდერებმა – ფართლი საბრიმ და მარიამ აგულაშვილმა მოულოდნელად სუსტად ითამაშეს. (4-4 ქულა 7-დან) სამაგიეროდ, ეს ფუნქცია მეორე დაფაზე მოთამაშე შოი შოიშვილმა აიღო (თითქმის ყველა შეხვედრა მოიგო – 7-დან 6) და რამდენიმე ტურში მისი წყალობით შეძლო გუნდმა გამარჯვება. ასევე აუცილებლად საქმობი სიტყვები ეკუთვნის გუნდის ყველაზე პატარა მონაწილეს 6 წლის ნიკა ოხველდაშვილს, რომელმაც ასევე ძალიან კარგად ითამაშა – 7-დან 5 შეხვედრა მოიგო და უდიდესი წვლილი შეიტანა გუნდის წარმატებაში.

I ტური საგარეოელებმა მინცდამინც კარგად ვერ ვერ დაიწყეს – ფრედ 2:2 დაასრულეს შეხვედრა, აკადემიის გუნდთან. შემდეგ დაამარცხეს გორელების მეორე გუნდი 3:1, მესამეში – ნტნ (3:1), მთოხუში სძლიეს გორელების უძლიერეს გუნდს – 2.5:2.5 (შოი შოიშვილი დაამარცხა გორეტი წიკლაძე, ხოლო ნიკოლოზმა – თეთრებით – „პაჩაბიტი“ (4:0), მათმა კონკურენტმა გორის პირველმა გუნდმა კი ფრედ ითამაშა ნტნ-თან და II საფეხურზე აინაცვლეს.

ასე, რომ „გარეჯმა“, მისმა მწვრთნელმა ირაკლი ქვლივიძემ და გუნდის წევრებმა ვერცხლის მედლები და შესაბამისი დიპლომები მიიღეს. ყულოცავთ მათ ამ წარმატებას და უფრო დიდ გამარჯვებებს ვუსურვებთ დამდეგ 2020 წელში.

ზურაბ აბულაშვილი

# „გარეჯის მახეს“ თასზე



21-22 დეკემბერს საგარეოს საჭადრაკო კლუბ „გარეჯი“ ჩატარდა გაზეთ „გარეჯის“ მაცნეს თასის გათამაშება ჭადრაკში, რომელშიც ჩვენი მუნიციპალიტეტის საუკეთესო მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ 81 წლის ტელმან შოიშვილით და 6 წლის ნიკა ოხველდაშვილით დამთავრებული.

ტურნირი ნამდვილად დაამშვენა მასში ჩვენი ცნობილი მოჭადრაკეების ნანი უნაფქოშვილის, ნიკა კველიშვილის, თენგივ კობიაშვილის... ასევე ბოლო წლებში ქვეყნისა თუ რეგიონის მასშტაბის ტურნირების გამარჯვებული თუ პრიზიორი ჭაბუკებისა და გოგონების მონაწილეობამ.

ტურნირი ჩატარდა შევიცარიული სისტემით 9 ტურად. კენჭისყრა ტარდებოდა კომპიუტერული პროგრამა stCess2-ის მეშვეობით, რამაც გამორიცხა შეცდომები და ყოველგვარი მიკერძოება. ტურნირის ჩემპიონი, თასისა და ოქროს მედლის მფლობელი 9 ქულით გახდა ნანი უნაფქოშვილი, მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა ნიკა კველიშვილმა 7.5 ქულა, III ადგილი – ტელმან შოიშვილმა – 6.5 ქულა. ჭაბუკთა შორის პირველი ადგილის მფლობელი გახდა ზუკა გამრეკელაშვილი (5.5 ქულა), მეორე ადგილი ვილად ხედა 7 წლის შოი შოიშვილს (5 ქულა), III ადგილი – 6 წლის ნიკა ოხველდაშვილს (4.5 ქულა).

გოგონათა შორის I ადგილზე გავიდა მარიამ აგულაშვილი (5 ქულა),... მესამეზე – ნინი აგულაშვილი (4.5 ქულა). გამარჯვებულებს და პრიზიორებს შესაბამისი მედლები გადასცა გაზეთ „გარეჯის“ მაცნეს რედაქტორმა თინათინ ილაურმა.


ბიძი  
დაკახიშვილი



წლის პერსონა 2019

მარინა შანიძე  
რეგიონული კულტურის განვითარებაში  
შეტანილი ფულითვის

8000 პირველი ლექსები, მოსწავლეობის პერიოდში, იბეჭდებოდა ჟურნალში „იონური“. სკოლის დამთავრების შემდეგ რუს. პრესაში - სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ორი წიგნის ავტორი: „შენკენ სახელი ბილიკი“ და „სიყვარულის ანარქლი“, სულ მალე ჩაეშვება მესამე წიგნიც. გახლავთ მარიკა ბარათაშვილის პრემიის ლაურეატი. არის რესპუბლიკური კონკურსების და ფესტივალების ლაურეატი მეუღლესთან და შვილებთან ერთად. 1985 წელს ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსის ოქროს მედლის მფლობელი. მიღებული აქვს სოლიდური ფულადი პრემია ნომინაციაში „საუკეთესო მუსიკალური ოჯახი“. ფლობს 1997 წელი - ხალხური შემოქმედების ოლიმპიადის - პირველი ადგილი და ტელეკომპანია პირველი არხის სპეციალური პრიზი „ოჯახური ტრადიციების და ხალხური ფოლკლორის ერთგულ მემკვიდრეობის“.



შეფასება მისცეს მის მუსიკალურ მოღვაწეობას. ჰქონდა პოეზიის სადამოებოც, მიღებული აქვს მონაწილეობა უამრავ ღონისძიებაში. 40 წელია ემსახურება მომავალი თაობების აღზრდას, არის საბავშვო ბაღის მენეჯერი, ამასთან ერთად, პარალელურად, 20 წელია საჯარო სკოლაში ასწავლებს მუსიკის საგანს, ხალხურ ინტერმენტებზე დაკვირვებას და სიმღერას. ბავშვთა მიღწევების გამო, საქართველოს ესთეტიკური აღზრდის ცენტრმა, როგორც პედაგოგს, რამდენჯერმე მიანიჭა პირველი ადგილი, ხოლო მოსწავლეებს საუკეთესო სოლისტის წოდება. საქართველოს განათლების სამინისტრომ დააჯილდოვა ი. გოგებაშვილის მედლით - „განსაკუთრებული შემოქმედებითი მიღწევებისათვის“. მიღებული აქვს უამრავი მაღლიერების წერილები საქართველოს ქალთა საბჭოსგან და კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედების მეორე ცენტრისგან. საგარეო მუნიციპალიტეტში დაახლოებით „მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში გაწეული ღვაწლისათვის“. ახლახანს, დეკემბრის დასაწყისში მარინა შანიძის პოეზიის სადამო გამოართა, რომლის ინიციატორი საგარეო ქალთა საბჭო იყო. აქვე წარმოადგინო იყო მარინა შანიძის ახლადგამოცემული წიგნი „შენკენ სახელი ბილიკი“. სადამოზე უამრავი თბილი სიტყვა ითქვა ქალბატონზე, რომელიც „პერსონა-2019“-ად გამოცხადდა.

„ერთი კაცის წილ ხომ გავისარჯე? შენ იცი, მხოლოდ ღმერთო ძლიერო. მე რაც შევიძელ, სიკეთე ვთხოვ, არ მითხოვია სამაგიერო“

მარინა შანიძის ქართულ ფესვებზე აღმოცენებული და დაგვირგნველი მრავალმხრივი ნიჭი და შემოქმედება დიდი ხანია გაიცნო და შეიტკბო გარეგნულმა და ზოგადად ქართულმა საზოგადოებამ. იმერეთში, ოკრიბის უღამახეს სანახებში დაბადებულმა მომავალმა პოეტმა, მომღერალმა და მუსიკოსმა, ლექსებისა და სიმღერების თხზვას ბავშვობის ასაკიდანვე მოჰკიდა ხელი და ამ საქმის მსახურებისათვის არც უმაღლესი და მუსიკალური სასწავლებლები და მისთვის თუ ყველაასათვის კარგად ცნობილი, ასევე შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებულ პატარაჩაილურელ ბესო ღვინაშვილთან შესანიშნავი ქართული ოჯახის შექმნის შემდეგ არ მიუტოვებია. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ თავიდანვე ქუდბედაყოლილმა, უფლისაგან მინიჭებული ამ ნიჭის წყალობით იპოვა თავისი ცხოვრების მომავალი თანამგზავრი და მასთან ერთად ოჯახურ იდილიასაც ეზიარა. მრავალი რესპუბლიკური კონკურსებისა და ფესტივალების გამარჯვებული, გრანპრის მფლობელი, ქართული სიმღერების უბადლო შემსრულებელი, ოჯახის ბედნიერი დიასახლისი, 4 გამორჩეული შვილის დედა და 10 შვილიშვილის ბებია. უკვე მშობლიურად ქცეული პატარა ჩაილურის მომავალი თაობების აღზრდის დიდმნიშვნელოვანი საქმის სათავეში ჩამდგარი, დღესაც უღალატოდ განაგრძობს სიერეში ამორჩეული გზით სიარულს და ქართული სულიერი საგანძურის ახალ-ახალი შენაძენით გამდიდრებას.

გარეჯული პოეზიის საუფლოში  
მარინა შანიძის „შენკენ სახელი ბილიკი“

წიგნი უცხო ქვეყნის ხიზნები არიან და ასე დამიცოტავდა სამშობლო, როცა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნასაფრუდო უიში არ მასვენებს, შიში ხვალისდელი დღისა! დრმა ბავშვობიდანვე მქონდა დასახული მიზნად, რომ მთელი სიცოცხლე მხოლოდ სასიკეთო საქმეებში შეკეთებინა, ვყოფილიყავი მამულის ქომაგი და მოსიყვარულე, ღირსეულად მომეხალა ვადი საკუთარი სინდისისა და ქვეყნის წინაშე უანგაროდ მყვარებოდა ის, რაც ჩემს გულს ესათუებოდა... დღესაც ამ მიზნის ერთგული ვრჩები და მსურს კვლავ ჩემი ბობოქარი ნათლად დაიანდეს... წერს თავის წინასიტყვი-ბაში პოეტს და მისი ამ ნათქვამის მართებულობაში წიგნის პირველი ლექსიდან „ოლონდაც გახანდეს“ ვრწმუნდებით „რა ცოტანი ვართ?! ეს სიცოცხლე მტრის მახვილივით გულის წვერს სწვდება, რა საოცარი სიხარულია, როცა ახალი მიღწევა ჩნდება“. ასე ეხმანება სამშობლოს მწვავე დემოგრაფიულ მდგომარეობას გულმწუხარ პოეტს. მას საკუთარი ტკივილივით სტიკავს ქვეყნის ყველა ტკივილი და უბედურება, მუხარის საკუთარი და საქართველოში მომავალი თაობების ბედნიერებას. მის მადლიან კალამს არ გამორჩენია გულთბილი სტრიქონები მიეძღვნა გმირი წინაპრების, საყვარელი მშობლების, შვილების, მეუღლის, მშობლიური ოკრიბის და ქუთაისის, ჩვენი უბერებელი დედაქალაქის, კახეთისა და მისი მშვენიერების - ზვარ-მევენახის, და ვით გარეჯის, ნახურას ციხისა თუ სხვათათვის. პოეტის ნათქვამი - საქართველოში გახანდეს 9 მძა ხერხეულიძისა და გმირთაგმირი შვილების აღმზრდელი დედები, მამულის კერაზე კვლავაც ირწვოდნენ ვახტანგ გორგასლის, დავითისა და თამარის, რუსთაველისა და ილიას მოღვაწის გამგრძელებელთა აქნები და ჩვენს შიამომაგვლებს თამამად შეეძლოთ შეფიცონ სამშობლო ქვეყანას „ერთად ვართ, შენაინ ვართ, მტერთათვის რისხვა ვართ, მომავლის იმედად გახრდებით მამულო!“ ამის სათავე და დედაბოძი კი მისი რწმენით ქართველი ქალია. „გახსოვდეთ, გწამდეთ, გიყვარდეთ მარად, წარსულის ქარცეცხლემონარტო, ქალი სიცოცხლის წმინდა სათავე და ერის ციხე-ბურჯი მაგარი“. პოეტისათვის, როგორც ქალისათვის არც სიყვარულის თემა უცხო და ბევრი ღირიული ლექსიც ჩაურთავს წიგნში.

„უღანი უცხო ქვეყნის ხიზნები არიან და ასე დამიცოტავდა სამშობლო, როცა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნასაფრუდო უიში არ მასვენებს, შიში ხვალისდელი დღისა! დრმა ბავშვობიდანვე მქონდა დასახული მიზნად, რომ მთელი სიცოცხლე მხოლოდ სასიკეთო საქმეებში შეკეთებინა, ვყოფილიყავი მამულის ქომაგი და მოსიყვარულე, ღირსეულად მომეხალა ვადი საკუთარი სინდისისა და ქვეყნის წინაშე უანგაროდ მყვარებოდა ის, რაც ჩემს გულს ესათუებოდა... დღესაც ამ მიზნის ერთგული ვრჩები და მსურს კვლავ ჩემი ბობოქარი ნათლად დაიანდეს...“ წერს თავის წინასიტყვი-ბაში პოეტს და მისი ამ ნათქვამის მართებულობაში წიგნის პირველი ლექსიდან „ოლონდაც გახანდეს“ ვრწმუნდებით „რა ცოტანი ვართ?! ეს სიცოცხლე მტრის მახვილივით გულის წვერს სწვდება, რა საოცარი სიხარულია, როცა ახალი მიღწევა ჩნდება“. ასე ეხმანება სამშობლოს მწვავე დემოგრაფიულ მდგომარეობას გულმწუხარ პოეტს. მას საკუთარი ტკივილივით სტიკავს ქვეყნის ყველა ტკივილი და უბედურება, მუხარის საკუთარი და საქართველოში მომავალი თაობების ბედნიერებას. მის მადლიან კალამს არ გამორჩენია გულთბილი სტრიქონები მიეძღვნა გმირი წინაპრების, საყვარელი მშობლების, შვილების, მეუღლის, მშობლიური ოკრიბის და ქუთაისის, ჩვენი უბერებელი დედაქალაქის, კახეთისა და მისი მშვენიერების - ზვარ-მევენახის, და ვით გარეჯის, ნახურას ციხისა თუ სხვათათვის. პოეტის ნათქვამი - საქართველოში გახანდეს 9 მძა ხერხეულიძისა და გმირთაგმირი შვილების აღმზრდელი დედები, მამულის კერაზე კვლავაც ირწვოდნენ ვახტანგ გორგასლის, დავითისა და თამარის, რუსთაველისა და ილიას მოღვაწის გამგრძელებელთა აქნები და ჩვენს შიამომაგვლებს თამამად შეეძლოთ შეფიცონ სამშობლო ქვეყანას „ერთად ვართ, შენაინ ვართ, მტერთათვის რისხვა ვართ, მომავლის იმედად გახრდებით მამულო!“ ამის სათავე და დედაბოძი კი მისი რწმენით ქართველი ქალია. „გახსოვდეთ, გწამდეთ, გიყვარდეთ მარად, წარსულის ქარცეცხლემონარტო, ქალი სიცოცხლის წმინდა სათავე და ერის ციხე-ბურჯი მაგარი“. პოეტისათვის, როგორც ქალისათვის არც სიყვარულის თემა უცხო და ბევრი ღირიული ლექსიც ჩაურთავს წიგნში.

ლად ეყვრება და ესათუება ყოველივეს, რაც ქართულია. დედა ენა მისთვის თვით ღმერთების ენაა. იგი განუზომელი სიყვარულით მიეღობის ზეციური საუფლოსაკენ და ქვეყნის შემოქმედს შესთხოვს, აღარ განმეორდეს წუთისოფლის უკუღმართობა და საქართველოსათვის თავს დატეხილი უბედურებები, რისი ერთ-ერთი მიზეზიც, მისი აზრით, ერთმანეთისადმი სიყვარულის ნაკლებობა და გაუცხოვებაა. „ყო დრო, როცა მიზანსწრაფულებს, გზა ტაძრისაკენ მართლა მიგვეყვება, დღეს კი ... უფალი, იცით რაღა გესჯის? რომ ერთმანეთი გადაგვიყვარდა!“ სწორედ ამ ურთიერთსიყვარულის აღდგენას, გაჭირვებაში შეხიბვლას, მოყვასისადმი თანადგომას და ერთად დროსაც უსწავლოსა და ნეტარ მომავალში სამშობლოს ბედზე ღრმად დაფიქრებული პოეტი და სჯერა, რომ ეს და უფლისმბერი ათი მცნების დაცვა მიიყვანს ქვეყანას და ქართველობას უფლის საუფლოსა და ნეტარ მომავალში. ჩვენი გაზეთის ფორმატიდან გამოშინარე, ძნელია ერთ წერილში ჩაატო და ისაუბრო ყველაფერ იმაზე, რაც მარინა შანიძის ამ წიგნის ფურცლებზეა გამოტანილი. ვიტყვი მხოლოდ ერთს, რომ ეს ლექსები უსათუოდ უნდა წაიკითხონ არა მარტო ქართული პოეზიის მოყვარულეებმა, არამედ ყველა იმთა, ვისაც ოდნავ მაინც აწუხებს მშობლიური ქვეყნის ბედი და მომავალი, რათა ღრმად გაიაზრონ და გაითავისონ მასში გაუდებელი აზრები. და ბოლოს, ამ წიგნზე საუბარი გვინდა ისევ პოეტის საქართველოსათვის მიძღვნილი ლექსის სტრიქონებით დავამთავროთ:

„სისხლიან წარსულს სისხლითვე წერდი, და ცრემლი მწარე ცრემლზე დადუღდა, რამდენჯერ ტანჯვით გაგაკრეს ჯვარზე, იმდენჯერ თითქოს ჩანგიც დადუმდა, მაგრამ მაინც ვერ გატეხეს წელში, მტერს კლავს ზღაპრული შენი მშვენიება, რადგან ვახტანგის ღირსეული მოღვაწის, დავითისა და თამარის მოღვაწის, რუსთაველის და ილიას მოღვაწის არ უწერია გადაშენება“.

მეტი დაგახსოვდით!

ბამოხმარება  
წიგნზე

ბევრი ვიფიქრე, როგორ გამომეხატა ჩემი აზრი თამაზ ქველიძის პოემის დასასრულზე და გადავწყვიტე ამ პატარა ლექსით გამომეხატა

საუბრის დასასრული

თ. ქს. გასრულდა ესე ბახი ვახის და რუსთაველისა, საამო არის სასმენად ტებლისა, უნახესისა. მადლობას ვუხდი მის ავტორს, გაწეული დიდი შრომისთვის, ეს წიგნი არის პროგრამა, ახალგაზრდობის წრთობისთვის. ახალ თაობას ვურჩევდი - ამ წიგნს აზრი გაუფოს, ვახის და შოთას სამშობლოს დიადი ძეგლი აუგოს. პატივისცემით

ამონადილ ტაბატაძე

რედაქტორი:  
თინათინ ილაური



„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტი. კოდი 438107460. ტირაჟი - 300 რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15, გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“. ტელეფონები: 599 502 842 599 851 143 ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com